ჩემი, ნინო გერაძის მიმართვა მე-9 კლასელებისთვის

მოგესალმებით, მე გახლავართ მუხრანის N3 საჯარო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლე ნინო გერაძე. ვინაიდან და რადგანაც ჩვენი სკოლა არის მცირეკონტიგენტიანი და არ გვყავს მე-12 კლასი, გადავწყვიტე გულთბილი მიმართვა გამეკეთებინა ჩვენი სკოლის მე-9 კლასისთვის, რადგან ამ წლის შემდეგ მე მათ სკოლაში ვეღარ ვნახავ.

პატივისცემით

ჩემო საყვარელო მე-9 კლასელებო, შეიძლება მე რადგან პატარა ვარ არც მეგობრად ჩამთვალოთ და არც ამხანაგათ, მაგრამ მე თქვენი სკოლელი ვარ, დიდი ხანია ერთმანეთს ვიცნობთ. ბევრჯერ შეიძლება ერთად გვიხალისია და გვისაუბრია მაგრამ ასეთი მომენტი ბევრი არ მახსოვს, მინდა ამ პატარა მაგრამ მთელი გულით დაწერილი წერილით ჩემი ის ემოციები გამოვხატო რომლებსაც ახლა, თქვენი წასვლის დროს ვგრძნობ.

რაც მე დავდივარ ამ სკოლაში ყოველთვის მახსოვს ის მომენტები როდესაც ვუყურებდი როგორ მხიარულად ერთობოდით, მოსვლა მრცხვენოდა ვერ ვბედავდი, ზოგჯერ ვკამათობდით რადგან ზოგიერთ თამაშში კარგად ვერ ვნაწილდებოდით, ამ ყველაფრის მიუხედავათ მაინც მაქვს ის გრძნობა, რომ თქვენი წასვლის შემდეგ ეს მხიარული დღეები მხოლოდ ტკბილი მოგონებები იქნება. ვერცერთ კლასთან ვერ ვგრძნობდი ისეთ მეგობრობას როგოორსაც თქვენთან, შეიძლება ზოგჯერ „ახლოსაც არ მიკარებდით“ მაგრამ მაინც ჩემს მეგობრებად დარჩებით.

ამ ექვსი წლის განმავლობაში კამათის და ჩხუბის გარდა მახსოვს როგორ მიცავდით ყოველთვის სკოლის გარეთაც და სკოლაშიც, ერთ-ერთი ასეთი შემთხვევა იყო როცა ჩემი კლასელი ბავშვები მაბრაზებდნენ მაგრამ ყველა მეცხრე კლასელი მიცავდა. ნეტავ ისევ პატარა ვიყო და შემეძლოს ბევრი დრო გავატარო თქვენთან. მიყვარდა როდესაც ქუჩაში შემხვდებოდით და პირველი თქვენ მესალმებოდით, არ ვიცი რატომ მაგრამ ეს დიდ შვებას და ბედნიერებას მანიჭებდა.

პოსტკოვიდურ ვითარებაში არ შეიძლება „ბოლო ზარის“ ჩატარება, მაგრამ ვფიქრობ ეს წერილი გაგიხარდებათ, შეიძლება არც არასდროს იყოთ ჩემი მეგობრები მაგრამ მაინც მე ყოველთვის მეგობრებად ჩაგთვლით!

მიყვარხართ და მეამაყებით!

ნინო გერაძე

18.05.2021